

**ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯი იკაროსის მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული და
სამოქმედო გეგმის შემუშავების, განხილვის, მათში ცვლილებების შეტანის, დამტკიცებისა და
გაზიარების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და
ანგარიშგების წესი**

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. წინამდებარე წესი განსაზღვრავს ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯი „იკაროსის“ (შემდგომში - კოლეჯი) მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების, განხილვის, მათში ცვლილებების შეტანის, დამტკიცებისა და გაზიარების მექანიზმების. ასევე, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და ანგარიშგებასთან დაკავშირებულ საკითხებს.
2. ამ წესით გათვალისწინებული მექანიზმების განხორციელებაზე პასუხისმგებელია წინამდებარე წესით განსაზღვრული პასუხისმგებელი პირი/ები, აგრეთვე კოლეჯის ხელმძღვანელი და თანამშრომლები, რომლებიც ხელმძღვანელობენ საქართველოს კანონმდებლობით, კოლეჯის აქტებითა და წინამდებარე წესით.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

1. კოლეჯის მისია - მისია არის კოლეჯის იდენტობის განმსაზღვრელი განაცხადი იმის თაობაზე, თუ როგორ, რა მიდგომით აპირებს იგი სასურველი სამომავლო სურათის/ხედვის მიღწევას, თუ რა არის მისი ძირითადი მიზანი და რისთვისაა იგი შექმნილი.
2. კოლეჯის ხედვა - ხედვა არის კოლეჯის მიერ დანახული სასურველი მომავლის სურათი, რომლის მიღწევაც მის საბოლოო მიზანს წარმოადგენს.
3. სტრატეგიული გეგმა - სტრატეგია (ანუ სტრატეგიული გეგმა) არის ორგანიზაციის მიერ, მრავალწლიან პერსპექტივაში დანახული განვითარების მიმართულება. იგი გვეუბნება, თუ რა მასშტაბური ნაბიჯების გადადგმა სურს ორგანიზაციას.
4. სამოქმედო გეგმა - სამოქმედო გეგმა სტრატეგიულ გეგმაში წარმოდგენილი მიზნების მიღწევისათვის საჭირო კონკრეტულ ნაბიჯებს ასახავს.

მუხლი 3. მისიის, ხედვის, ღირებულებების შემუშავება, განხილვა, მათში ცვლილებების შეტანა, დამტკიცება, გაზიარება.

1. კოლეჯის სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის პირველი ეტაპი მოიცავს მისი ხედვის, მისიისა და მთავარი ღირებულებების განსაზღვრას.
2. პროფესიული სასწავლებლების მისია აუცილებლად უნდა შეესაბამებოდეს პროფესიული განათლების მიზნებს; ხელს უწყობდეს მათ რეალიზებას.
3. მისია უნდა იყოს მოკლე, გასაგები, მამოტივირებელი, ორგანიზაციული ღირებულებების ამსახველი და საზოგადოებრივი სიკეთის შექმნაზე ორიენტირებული.

4. კოლეჯის მისია, ხედვა, ღირებულებები უნდა შემუშავდეს გუნდურად, ორგანიზაციის თანამშრომლების ჩართულობით.
5. კოლეჯის მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავების მიზნით კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით (ბრძანება) იქმნება კომისია, რომლის შემადგენლობაშიც შედიან კოლეჯის ადმინისტრაციის თანამშრომლები და კოლეჯის მასწავლებლები (დარგის სპეციალისტები).
6. პროფესიული განათლების მიზნებიდან გამომდინარე, ქვეყანაში მიმდინარე პროცესების, სიახლეების, ასევე პროფესიული სტანდარტებისა და კოლეჯის მიერ განსახორციელებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გათვალისწინებით კომისია შეიმუშავებს მისიის/ხედვის/ღირებულებების პროექტს, რაზედაც დგება შესაბამისი ოქმი.
7. კომისია კოლეჯის მისიის/ხედვის/ღირებულებების პროექტს შესაბამის ოქმთან ერთად დასამტკიცებლად წარუდგენს კოლეჯის დირექტორს.
8. კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით (ბრძანება) ამტკიცებს კოლეჯის მისიას/ხედვას/ღირებულებებს.
9. გარემო პირობების და/ან კოლეჯის პრიორიტეტების ცვლილების კვალდაკვალ კოლეჯს ცვლილებები შეაქვს მისიაში, ხედვასა და ღირებულებებში.
10. კოლეჯის მისიაში, ხედვასა და ღირებულებებში ცვლილების შეტანა ხორციელდება ამ მუხლის 4-8 პუნქტებით დადგენილი პროცედურებით.
11. ნებისმიერი ცვლილება და/ან დამატება კოლეჯის მისიაში, ხედვასა და ღირებულებებში გამოქვეყნებულ უნდა იქნეს საჯაროდ კოლეჯის ვებ-გვერდის საშუალებით.

მუხლი 4. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავება, განხილვა, მათში ცვლილებების შეტანა, დამტკიცება, გაზიარება.

1. კოლეჯის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმა უნდა შემუშავდეს გუნდურად, ორგანიზაციის თანამშრომლების ჩართულობით.
2. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით (ბრძანება) იქმნება კომისია, რომლის შემადგენლობაშიც აუცილებელ წევრად უნდა განისაზღვროს კოლეჯის დირექტორის მოადგილე, ხარისხის მართვის მენეჯერი, ფინანსური მენეჯერი, მატერიალური რესურსების მენეჯერი, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი.
3. პროფესიული განათლების მიზნებიდან გამომდინარე, ქვეყანაში მიმდინარე პროცესების, სიახლეების, კოლეჯის მიერ განსახორციელებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, კოლეჯის მიერ განხორციელებული კვლევების გათვალისწინებით კომისია შეიმუშავებს სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებს.
4. კომისიის მიერ შემუშავებული სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის პროექტ(ებ)ი განსახილველად წარედგინება კოლეჯის დირექტორს.
5. კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით (ბრძანება) ამტკიცებს კოლეჯის სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებს.

6. გარემო პირობების ცვლილების კვალდაკვალ კოლეჯს ცვლილებები შეაქვს სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში.
7. სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში ცვლილების შეტანა ხორციელდება ამ მუხლის 1-6 პუნქტებით დადგენილი პროცედურებით.
8. ნებისმიერი ცვლილება და/ან დამატება კოლეჯის სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში გამოქვეყნებულ უნდა იქნეს საჯაროდ კოლეჯის ვებ-გვერდის საშუალებით.

მუხლი 5. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგი და ანგარიშგება

1. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის მიზნით კოლეჯში დასაქმებული პირების მიერ ხორციელდება შესრულებული სამუშაოს შესახებ კვარტალური ანგარიშების მომზადება.
2. შესრულებული სამუშაოს შესახებ კვარტალურ ანგარიშს კოლეჯში დასაქმებული პირები წარმოადგენენ ახალი კვარტლის დაწყებიდან ერთი კვირის ვადაში.
3. ახალი კვარტლის მეორე კვირაში ხარისხის მართვის მენეჯერი, ფინანსური მენეჯერი, პროფორინტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი დირექტორს წარუდგენენ შემაჯამებელ ანგარიშებს, კოლეჯში დასაქმებული პირების მიერ წარმოდგენილი კვარტალური ანგარიშების საფუძველზე.
4. კოლეჯის დირექტორი განიხილავს ანგარიშებს დასაქმებული პირების მიერ შესრულებული სამუშაოს სტრატეგიულ გეგმასთან შესაბამისობაში შემოწმების მიზნით.
5. კვარტალური და შემაჯამებელი ანგარიშების საფუძველზე კოლეჯის დირექტორი ადგენს წლიურ ანგარიშს.
6. კოლეჯის დირექტორი არაუგვიანეს პირველი თბერვლისა, აბარებს ყოველწლიურ ანგარიშს დამფუძნებელთა კრებას, კოლეჯის საგანმანათლებლო, ფინანსური და კანონმდებლობით ნებადართული სხვა საქმიანობის შესახებ.